



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

29 ივნისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №105

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბახვის თემის ტერიტორიაზე ქუჩების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნუმერაციის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, „დამისამართების პროცესში მონაწილე დაწესებულებების თანამშრომლობისა და უფლებამოსილებათა გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის №358 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის №18 დადგენილების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“-ს მიერ იუსტიციის სამინისტროს დამისამართების კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბახვის თემის დამისამართება და დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბახვის თემის ტერიტორიაზე ქუჩების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნუმერაცია წარმოდგენილი რეესტრის და ორთოფოტოს შესაბამისად, თანახმად დანართისა.

2. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი